



პოლ ოსტერი

ილუზიების
წიგნი

ამერიკელი | დიდი

პოლ ოსტერი
ილუზიების წიგნი

Paul Auster
THE BOOK OF ILLUSIONS

მთარგმნელი ქეთი ქანთარია
რედაქტორი მარია კვესელავა

სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© 2002 by Paul Auster

Translation rights arranged with the Carol Mann Agency, New York, NY

Photo © Lotte Hansen

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014

ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2233-3789

ISBN 978-9941-11-486-1

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

პროფესორი დევიდ ზიმერი ღრმა დეპრესიით იტანჯება მას შემდეგ, რაც ავიაკატასტროფის შედეგად მეუღლე და შვილები დაკარგა. შემთხვევით იგი ნახულობს ფილმს მუნჯი კინოს ერთ დროს ცნობილი მსახიობის ჰექტორ მანის მონაწილეობით, რომელიც 1929 წელს უკვალოდ გაუჩინარდა. ზიმერი იწყებს მოგზაურობას ამერიკასა და ევროპაში, რათა მოიძიოს იშვიათი ფილმები მანის მონაწილეობით და მსახიობის შესახებ წიგნი დაწეროს. ერთ დღეს იგი უცნაურ წერილს იღებს, რომლიდანაც იტყობს, რომ მსახიობი ჰექტორ მანი ცოცხალია და მასთან შეხვედრა სურს...

ადამიანი მხოლოდ ერთი ცხოვრებით როდი ცხოვრობს. მას ბევრი სიცოცხლე აქვს, ერთი რომ სრულდება, მეორე იწყება და მის უბედობათა თავი და თავიც ესაა.

მატობრიანი

ილუზიების წიგნი

I

ეს ადამიანი ყველას გარდაცვლილი ეგონა. 1988 წელს, როცა მისი ფილმებისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნი გამოიცა, ჰექტორ მანის შესახებ სამოცი წელი არავის არაფერი სმენოდა; კინოს თითო-ოროლა ისტორიკოსისა და ძველ ფილმებზე შეშლილი კინომანების გარდა, ლამის აღარავის ახსოვდა, რომ ოდესმე ასეთ კაცს ამქვეყნად ეცხოვრა. „ყველაფერი ან არაფერი“, მუნჯი კინოს ეპოქის მიწურულს გადაღებული მისი ერთ-ერთი ფილმი, კინოთეატრებში 1928 წლის 23 ნოემბერს გამოვიდა. ორი თვის შემდეგ, ისე, რომ ნაცნობ-მეგობრებთან გამომშვიდობება და საკუთარი განზრახვის ახსნა არც უფიქრია, ჰექტორ მანი ორანჯ სტრიტზე ნაქირავები ბინიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. თავისი ცისფერი „დესოტო“ იქვე დაეტოვებინა, სადაც ეყენა; სახლის ქირავნობის ქალაღდები წესრიგში ჰქონდა, სამი თვის თანხა – წინდანინ გადახდილი. სამზარეულო სურსათით იყო სავსე, კაბინეტში ვისკის მარაგი – ხელუხლებელი, საძინებლის კარადაში გარდერობს ერთი ხელი ტანისამოსიც არ აკლდა. 1929 წლის 18 იანვარს „ლოს ანჯელეს ჰერალდ ექსპრე-

სი“ წერდა, ბინა ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისი პატრონი სასეირნოდ გასულიყო და კარი წუთი წუთზე უნდა შემოეღო. მაგრამ არ დაბრუნებულა: იმ დღეს, თითქოს მინამ უყო პირი, ჰექტორ მანი სამუდამოდ გაუჩინარდა.

მისი შემდგომი ბედის თაობაზე მითქმა-მოთქმა რამდენიმე წელიწადს არ მიმწყდარა, მაგრამ ყველაფერი, რაც კი ითქვა, მხოლოდ ეჭვები იყო და ვარაუდებს არ გასცდენია. ყველაზე სარწმუნო ვერსიებად თვითმკვლელობას ან ფარული მტრების მიერ დაგებულ მახეს ასახელებდნენ, მაგრამ მათი დასაბუთებაც და უარყოფაც ერთნაირად შეუძლებელი იყო, რადგან გვამის პოვნა ვერ მოხერხდა. დანარჩენი ვერსიები წარმოსახვის თამაშს, იმედიანი დასასრულის ძიების მცდელობას უფრო ჰგავდა და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, რომანტიკულ მინიშნებებს შეიცავდა. ერთნი ამბობდნენ, თითქოს ჰექტორი მშობლიურ არგენტინაში დაბრუნდა და პატარა პროვინციული ცირკის მფლობელი გახდა. მეორე ვერსიის მიხედვით, კომუნისტურ პარტიაში შევიდა და გამოგონილი სახელით ნიუ-იორკის შტატში, იუტიკაში მერძევეების პროფკავშირის ჩაუდგა სათავეში. სხვანი ყვებოდნენ, თითქოს იგი დიდმა დეპრესიამ გააკოტრა და უსახლკარო მანანალად აქცია. ჰექტორი რომ უფრო დიდი ვარსკვლავი ყოფილიყო, ახალ-ახალი ვერსიების ცხოზა, ალბათ, არც არასოდეს დასრულდებოდა; სიცოცხლეს იმ ამბებში გააგრძელებდა, რომლებსაც მის შესახებ თხზავდნენ და დროთა განმავლობაში ერთ-ერთ იმ სიმბოლურ ფიგურად იქცეოდა, კოლექტიურ მეხსიერებაში სიჭაბუკის, ახალგაზრდული იმედებისა და ბედის უკუღმართობის განსახიერებად რომ რჩება, მაგრამ ასე არ მომხდარა, რადგან ჰექტორის კარიერა მანამ შეწყდა, სანამ ჰოლივუდს თავისი არსებობის კვალს სა-

მუდამოდ დაამჩნევდა. მან თავისი ნიჭის მთელი სისრულით გახსნა ვერ მოასწრო, მეტისმეტად მალე გაქრა თვალსაწიერიდან, რომ ადამიანებისთვის თავი დიდი ხნით დაეხსომებინა. გავიდა რამდენიმე წელი და ჰექტორი ყველას ნელ-ნელა მიავიწყდა. 1932-1933 წლებისთვის ჰექტორ მანი იმ ძველი სამყაროს ნაწილად იქცა, რომელსაც აღარავინ უბრუნდება და, თუკი მისი კვალი სადმე მაინც დარჩა, მხოლოდ ყველასთვის უცნობი იმ წიგნების სქოლიოებში, რომელთა კითხვით თავს აღარავინ იწუხებდა. კინო ალაპარაკდა, წარსულის გახუნებული, მუნჯი ლენტები ვილას ახსოვდა. ვის სჭირდებოდა ძველი კლოუნები, მიმები, უხმო ორკესტრების რიტმს აყოლილი მოცეკვავე კეკლუცი გოგონები. მათი დროებიდან თითქოს სულ რამდენიმე წელი გასულიყო, მაგრამ უკვე ისეთივე წინაისტორიულ ქმნილებებად ქცეულიყვნენ, როგორც უხსოვარ დროს, ადამიანების გამოქვაბულებში დასახლებამდე, გადაშენებული არსებები.

ჩემს წიგნში ჰექტორის ცხოვრებას თითქმის არ შეეხებინვარ. „ჰექტორ მანის უხმო სამყარო“ კინოკრიტიკის ჟანრს უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე ბიოგრაფიულს, ის თითო-ოროლა უმნიშვნელო ამბავი კი, რომლებიც მის პროფესიასთან დაკავშირებული არ იყო, ყველასთვის ხელმისაწვდომ წყაროებში – კინოენციკლოპედიებში, მემუარებში, ადრეული პოლიგუდის ისტორიაში მოვიძიე. ეს წიგნი იმიტომ დავწერე, რომ ეკრანზე ნანახისგან მიღებული სიამოვნება სხვებისთვისაც გამეზიარებინა. ჰექტორის ცხოვრებამ ჩემი ინტერესის პერიფერიებში გადაინაცვლა, ხოლო მის შესაძლო ხვედრზე ეჭვებისა და ვარაუდების გამოთქმას მისი ფილმების დაწვრილებითი ანალიზი ვამჯობინე. რაკი ჰექტორი 1900 წელს დაიბადა, 1929 წელს კი უკვალოდ გაუჩინარდა, აზრად არ მომსვლია, რომ შეიძლე-

ბოდა ცოცხალი ყოფილიყო. მიცვალებულებს საფლავებიდან წამოდგომა არ შეუძლიათ; ამდენი წლით მიმალვა კი, მაშინ ასე ვფიქრობდი, მხოლოდ მას არ გაუჭირდებოდა, ვინც ცოცხლებში აღარ ეწერა.

წიგნი პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა. მას შემდეგ უკვე თერთმეტი წელია გასული. მარტში გამოიცა, პუბლიკაციიდან სამი თვის თავზე კი, როცა კინოსადმი მიძღვნილ პერიოდულ გამოცემებსა და აკადემიურ ჟურნალებში გამომხაურების პირველმა ტალღამ გადაიარა, საფოსტო ყუთში წერილი დამხვდა. მოზრდილი კონვენტი იყო, კვადრატული ფორმისა და არა მართკუთხა, ყოველ მეორე მალაზიაში რომ იყიდება; ხარისხიანი, ძვირფასი ქაღალდისგან დამზადებული კონვენტი იყო, ამიტომ ჯერ ვიფიქრე, შიგნით საქორწილო მოსაწვევი ანდა ვილაცის შვილის დაბადების შეტყობინება იდებოდა. ჩემი სახელი და გვარი კონვენტის შუაგულში მოხდენილი გაკრული ხელწერით იყო გამოყვანილი, რომელიც პროფესიონალ კალიგრაფს თუ არა, უდავოდ, ისეთ ადამიანს ეკუთვნოდა, ვინც დახვეწილ ეპისტოლარულ ჩვევებს ჯერაც ერთგულებდა და წარსულის ეტიკეტსა და ტრადიციებზე იყო აღზრილი, რაც ადამიანთა ურთიერთობაში მეტ სინატიფეს მოითხოვდა. კონვენტს ნიუ-მექსიკოს, ალბუკერკეს ფოსტის ბეჭედი ჰქონდა, თუმცა უკანა მხარეს ადრესანტის მისამართს რომ დავხედე, მივხვდი, წერილი სულ სხვაგან დაეწერათ, ისიც, რა თქმა უნდა, თუ ვივარაუდებდი, რომ მითითებული მისამართი ნამდვილად არსებობდა და ქალაქის სახელი გამოგონილი არ იყო. ამ ორ სტრიქონში ეწერა: რანჩო „ბლუ სთოუნი“, ტიერა-დელ-სუენიო, ნიუ-მექსიკო. ახლა მიჭირს გახსენება, მაგრამ, მგონი, დასახელებამ ღიმლილიც კი მომგვარა. ადრესანტის ვინაობა არ ეწერა. ღია ბარათის ამოსაღებად

კონვერტი რომ გავხსენი, სუნამოს ნაზი სურნელი, ლავანდის სუსტი მონაბერი ვიგრძენი.

ძვირფასო პროფესორო ზიმერ, – ეწერა წერილში, – ჰექტორმა თქვენი წიგნი წაიკითხა და თქვენი გაცნობა სურს. იქნებ გვეწვიოთ, თუკი თავადაც ინებებთ.

გულწრფელად თქვენი,

ფრიდა სპელინგი (მისის ჰექტორ მანი)

ტექსტი ექვსჯერ ან შვიდჯერ მაინც წავიკითხე. მერე განზე გადავდე. ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში ბოლთის ცემას მოვყევი. ბარათს ხელმეორედ რომ დავწვდი, ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ზედ რამე ეწერებოდა და, თუ მაინც ეწერებოდა, არც ის გამიკვირდებოდა, ამჯერად სხვა სიტყვები დამხვედროდა. წერილი ისევ ექვსჯერ თუ შვიდჯერ გადავიკითხე და, რაკი ვერაფერი გაუგე, გადაწყვიტე, ვილაცის უხეირო ხუმრობად ჩამეთვალა და ბარათი თავიდან ამომეგდო. გავიდა რამდენიმე წამი და რალაც ეჭვები გამიჩნდა, მეორე წუთს იმ ჩემი ეჭვების მიმართ ეჭვი მომეძალა. თავში აზრები ერთმანეთს აწყდებოდნენ, მაგრამ ჩამოყალიბებას ვერ ასწრებდნენ, რომ ახალი აზრი მომდიოდა. მერე, რადგან უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, მანქანაში ჩავჯექი და გეზი ფოსტისკენ ავიღე. საფოსტო ინდექსების ცნობარში ამერიკის ყველა მისამართია შეტანილი და ვიფიქრე, თუ იქ ტიერა-დელ-სუენიო ვერ ვიპოვე, მაშინ თამამად შემიძლია, ამ წერილს ნაგავში გადავუძახო და დავივიწყო-მეთქი. მაგრამ ცნობარში ადრესანტის მისამართი მართლაც ვიპოვე: 1933-ე გვერდზე, ტიერა-ამარილასა და ტიხერასს შორის. სრულიად რეალური ქალაქი იყო, საფოსტო განყოფილებითა და ხუთნიშნა ინდექსით. რასაკვირველია, წერილის ნამდვილობას ეს სრულებითაც ვერ მიდასტურებდა, მაგრამ მის მიმართ გარ-

კვეული ნდობა მაინც გამიჩინა, ამიტომ, შინ რომ დავბრუნდი, უკვე ვაცნობიერებდი, აუცილებელი იყო საპასუხო წერილის მიწერა. ასეთი გზავნილების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მსგავს სიტუაციაში ხანდახან ისეც ხდება, რომ პასუხის გასაგზავნად თავს არ ინუხებ, მერე კი ეს გაურკვეველობა მთელი ცხოვრება საფიქრალად და ხინჯად მიგყვება. ჩემი წერილის ასლი არ შემინახავს, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ხელით ვწერდი და, რაკი ვცდილობდი, ტექსტი შეძლებისდაგვარად ლაკონური გამომსვლოდა, რამდენიმე წინადადებით შემოვიფარგლე. ასე შედარებით ნაკლებად მანუხებდა იმის შეგრძნება, რომ შესაძლოა ვილაცის გადმოგდებულ სატყუარას ვეგებოდი და, თუ ასე იყო, ჩემი გაბრიყვების მოსურნე მთლად იდიოტადაც არ ჩამთვლიდა. საპასუხო წერილი დაახლოებით ასეთი შინაარსისა გამოვიდა:

ძვირფასო ფრიდა სპელინგ, ჰექტორ მანის გაცნობაზე უარს მართლაც არ ვიტყოდი, მაგრამ მიჭირს დაჯერება, რომ იგი ცოცხალია. როგორც ვიცი, ორმოცდაათ წელზე მეტია, არსად გამოჩენილა. თუ შეიძლება, მის შესახებ უფრო დეტალურად მომწერეთ.

*გულწრფელად თქვენი,
დევიდ ზიმერი*

მგონი, ყოველ ჩვენგანს სურს, რომ შეუძლებელი, მიუღწეველი რამეების სწამდეს, თავი დაირწმუნოს, რომ სასწაულები ხანდახან მაინც ხდება. ჩემი წიგნი მძიმე ნალველმა შვა, მაგრამ აი, ნაწერი უკვე გამოიცა, გული კი ოდნავადაც არ შემმსუბუქებია. ჩემი კვლევის საგანი – კომედია – მხოლოდ საბაბი იყო, ერთგვარი ნამალი, რომელსაც წელიწადზე მეტ ხანს ტკივილის

დასაცხრომად ვენაფებოდი. მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა ეს ფრიდა სპელინგს? როგორ გაიგებდა, რომ 1985 წლის 7 ივნისს, ჩვენი ქორწინების ათი წლისთავამდე ერთი კვირით ადრე, ცოლი და ორი ბიჭი ავიაკატასტროფაში დამელუბა. შესაძლოა კიდევ მიექცია ყურადღება ნიგნისთვის ნამძღვარებული სიტყვებისთვის (*ედღენება ჰელენის, თოდისა და მარკოს ხსოვნას*), მაგრამ ეს სახელები მას არაფერს ეტყოდა; რომც მიმხვდარიყო, რამდენად მნიშვნელოვანი ადამიანები იყვნენ ისინი ჩემთვის, არა მგონია, გაეცნობიერებინა, რომ ავტორისთვის ამ სახელებთან დაკავშირებული იყო ყველაფერი, რასაც ადამიანი ცხოვრების აზრში გულისხმობს, რომ იმ დღეს, როცა 36 წლის ჰელენი, შვიდი წლის თოდი და ოთხი წლის მარკო თვითმფრინავში ცოცხლად დაინვნენ, შინაგანად თავადაც გამოიბუგა.

ჩემი ცოლ-შვილი მილუოკიში ჰელენის მშობლების მოსახლულბლად მიფრინავდა. შინ შემავიანდა – სტუდენტებისთვის სემესტრის ნიშნები უნდა დამენერა და მათი ნამუშევრების შემონმებას შევეყევი. ვერმონტში, ჰემპტონ-კოლეჯში შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას ვასწავლიდი. ჩემი, როგორც პროფესორის, სამუშაო ეს იყო და იმ დღეს საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა. ჰელენის მამას ფეხზე სიმსივნე აღმოაჩნდა და ოპერაცია გაიკეთა. მე და ჰელენმა ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ბავშვებთან ერთად სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულყო მამამისის სანახავად. ასეთი მოჩქარეობის გამო, მეორე სასწავლო წლის ბოლო ორი კვირის გაცდენის ნება რომ დაერთოთ, თოდის სკოლაში ვრცელი ახსნაგანმარტების მიცემა მომიხდა. დირექტორი თავიდან უარზე იყო, მაგრამ ბოლოს დავიყოლიე. ეს ერთ-ერთი იმ გარემოებათაგანი აღმოჩნდა, რომელსაც თვითმფრინავის დაღუპვის შემდეგ თავში დაუსრულბლად ვატრიალებდი. ჰელენს რომ

თავისი გაეტანა, თოდს შინ, ჩემთან დარჩენა მოუწევდა და ახლა ცოცხალი მეყოლებოდა. სამიდან ერთი მაინც გადარჩებოდა. სამიდან ერთი მაინც არ მოწყდებოდა ცას შვიდი მილის სიმაღლიდან. ოთხ სულს შეჩვეულ სახლს მარტო მე არ შემოვრჩებოდი. ეს მხოლოდ ერთი ფიქრი იყო სხვა ათასიდან, რომელთაც ჩემს აგზნებულ ტვინში დაუსრულებლად ვატრიალებდი და ტანჯვას ვიასკეცებდი; წარმოსახვის ამ ბნელ ჩიხებში გამუდმებული ბორიალით არ ვიღლებოდი და დაჟინებული აკვიატებით ვიმეორებდი ამ გზას. ყველაფერი ამ ამბის ნაწილად მექცა, მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის ყველა რგოლს აუცილებლად ფინალურ კოშმარამდე მივყავდი – სიმამრის სიმსივნითა და შუა დასავლეთის ამინდით დაწყებული, იმ ტურისტული სააგენტოს ნომრით დამთავრებული, რომლის მეშვეობითაც ბილეთები დავჯავშენე. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ბოსტონიდან პირდაპირი რეისით მათი გამგზავრება მე დავიჟინე. ბარლინგტონიდან გაფრენის წინააღმდეგი ვიყავი: ასე კარაქის სადღეების მაგვარი თვითმფრინავით ნიუ-იორკამდე თვრამეტი საათი უნდა ეჯაყყაყათ, იქიდან მილუოკიმდე კი კიდევ ერთ რეისზე გადასხდომა დასჭირდებოდათ. ვერ ვიტან ამ პატარა თვითმფრინავებს, ვუთხარი ჰელენს. იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ ასეთი სახიფათო თვითმფრინავით უჩემოდ, მარტოები უნდა გამეშვა. დამიჯერეს და გადაიფიქრეს – ჩემს ნერვებს მოუფრთხილდნენ. კიდევ უფრო შემზარავი ის იყო, რომ მეც ვჩქარობდი და მათაც ვაჩქარებდი, რეისზე არ დაგვაგვიანდეს-მეთქი. იმ დილით გზებზე დიდი ჭედვა იყო, ამიტომ სპრინგფილდს რომ მივალნიეთ და მასპაიკის გზატკეცილს დავადექით, გადაჭარბებული სისწრაფით მომიხდა მანქანის ტარება, სხვანაირად ლოგანის აეროპორტამდე დროულად ვერ ჩავალწევდით.

ის ზაფხული ალაგ-ალაგ, ბუნდოვნად მახსოვს. რამდენიმე თვე ალკოჰოლურ ბურანსა და საკუთარი თავის სიბრაღულში გავატარე. სახლიდან თითქმის არ გავდიოდი, საჭმელს არ ვეკარებოდი, ტანსაცმელს ლამის არ ვიცვლიდი. ჩემი კოლეგების უმეტესობა აგვისტოს შუა რიცხვებამდე შვებულებში იყო, ამგვარად, სამძიმრის აუტანელ სავალდებულო ვიზიტებს სწორედ მაშინ გადავუწი, როცა სრულიად შეურაცხადი ვიყავი. რა თქმა უნდა, ადამიანებს ჩემთვის მხოლოდ კარგი უნდოდათ, ამიტომ, როცა კარს ვაღებდი და ზღურბლზე რომელიმე ჩემი მეგობარი იდგა, შინ ვეპატიუბოდი, მაგრამ თანაგრძნობის დამთრგუნველი გამოვლინება და გრძელი, უხერხული პაუზები მდგომარეობას არ მიმსუბუქებდა. მივხვდი, მარტო ყოფნა მერჩივნა, ჩემში გამეფებულ წყვილადში. იმ იშვიათ საათებს, როცა არც მთვრალი ვიყავი და არც სასტუმრო ოთახის დივანზე ვეგდე უგონოდ, უმიზნო ბორიალში ვატარებდი. ბიჭების ოთახში იატაკზე ვჯდებოდი ხოლმე, მათ ნივთებსა და სათამაშოებს შორის. შვილების შესახებ რაიმე გამოკვეთილ ფიქრს თავში ვერ ვიჩერებდი, მაგრამ, როცა მათ თავსატეხებს ვაწყობდი ან „ლეგოს“ ნაწილებით სულ უფრო რთულ კონსტრუქციებს ვაგებდი, ვგრძნობდი, თითქოს იმ ოთახში მათ ვაცოცხლებდი, ჩემი ბიჭების ფანტომურად ხანმოკლე სიცოცხლეს მათი ყოველდღიური საქმიანობით ვაგრძელებდი, მათ იმ ჟესტებს ვიმეორებდი, რომლებსაც იმ დროს აკეთებდნენ, სანამ სხეულში სული ედგათ. თოდის ზღაპრებს ხელახლა ვკითხულობდი, მის ბეისბოლის ბარათებს ვახარისხებდი. მარკოს ფიტულებს სახეობების, სიმალლისა და შეფერილობის მიხედვით ვაწყობდი, თან ყოველ ჯერზე დახარისხების ახალ პრინციპს ვიგონებდი.

ასე მიქრებოდა საათები თვალსა და ხელს შუა, დღეებს უგონო დავიწყებად ვადნობდი და, თუ ტკივილი გაუსაძლისი ხდებოდა, სასტუმრო ოთახში ვბრუნდებოდი და სასმელს ჭიქაში ისევ ვისხამდი. როცა ისე გამოთრობას ვერ ვახერხებდი, რომ იქვე, დივანზე მიმძინებოდა, ღამით თოდის სანოლში ვიძინებდი. ჩვენს საერთო ლოჯინში სულ მესიზმრებოდა, რომ გვერდით მიძინარე ჰელენი მენვა და უნებლიეთ მის მოსახვევად ვინევდი, მაგრამ დაჭრილი ცხოველივით ვიღვიძებდი, აკანკალებული ხელებით, სრული შეგრძნებით, რომ ვიგუდები და პირით გაშმაგებით ვხაფავდი ჰაერს. ჩამობნელებოდა თუ არა, ჩვენს საძინებელ ოთახში შესვლა აღარ შემეძლო, მაგრამ დღის უმეტეს ნაწილს ჰელენის ტანსაცმლის კარადასთან ვატარებდი: მის სამოსს ხელით ვეხებოდი, ნაქსოვებსა და ჟაკეტებს ადგილს ვუცვლიდი, მის კაბებს საკიდებიდან ვხსნიდი და იატაკზე ვაფენდი. რომელიღაც დღეს ერთ-ერთი მათგანი გადავიცვი; მეორედ მისი საცვალი მოვირგე და სახეზე მისი კოსმეტიკა წავისვი. იმ მომენტში სრულიად განსაკუთრებული შეგრძნებები დამეუფლა. ექსპერიმენტი გავაგრძელე და აღმოვაჩინე, რომ პომადისა და თვალის ტუშის ეფექტს სუნამო გაცილებით უფრო აძლიერებდა, მკაფიო, თითქმის ხელშესახებ ხატებას აცოცხლებდა. გამიმართლა: სულ ცოტა ხნის წინ, მარტში, დაბადების დღეზე ჰელენს „შანელი №5“ ვაჩუქე. დღეში ორ მცირე დოზას ვჯერდებოდი და ამგვარად ზაფხულის ბოლომდე გამოვიზოგე.

შემოდგომის მთელი სემესტრი აკადემიურ შვებულებაში გავატარე, მაგრამ, იმის მაგიერ, რომ სადმე გავმგზავრებულყავი ან ფსიქოლოგისთვის მიმემართა, შინ დავრჩი და სმას ვაგრძელებდი. სექტემბრის ბოლოს თუ ოქტომბრის დასაწყისისთვის ვისკის ჩვეული ნორმა უკვე აღარ მყოფნიდა და